დანართი N1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ "ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზია"

შეფასების თარიღ(ებ)ი : 21-22 დეკემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26 იანვარი, 2023

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Elene Kalandadze
Digitally signed by Elene Kalandadze
Date: 2023.01.26

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	446971055

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთი, დაბა ჩაქვი
იურიდიული მისამართი	დაბა ჩაქვი, თამარ მეფის №77
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ჩაქვი, თამარ მეფის №77
საფოსტო ინდექსი	6010
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://chaqvis-sasuliero-gimnazia.edupage.org/
დაწესებულების ელ-ფოსტა	Chaqvis.gimnazia@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	558116772, 593734515
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ვაჟა (დეკანოზი დანიელ) სოლომინიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	514518851
ელ-ფოსტა	tarieladze.nestan@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19/12/2022 MES 1 22 0001622461 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21-22 დეკემბერი, 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ელენე კალანდაძე

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	
	1.3	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.2.	
	2.3.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	
	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	ექსპერთთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში მასწავლებლები არ არიან შერჩეულნი ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' მინისტრის N174ნ ბრძანებისა და საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ 21-ე მუხლით დადგენილი პირობებით.
	3.4	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	
	1.3	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.2.	
	2.3.	
	2.6.ბ)	სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ექთანი, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-ით. კერძოდ, გამოაცხადოს სკოლის ექიმის ვაკანსია.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	
	3.2.	
	3.3.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	სკოლის ძირითადი მისია: ა(ა)იპ „ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის“ მთავარი მისიაა მოსწავლეს მისცეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება; შეუქმნას სათანადო პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად, სწავლისათვის საჭირო იმ უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში და ესოდენ საჭიროა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, საერთაშორისო სტანდარტის შესატყვისი განათლების მისაღებად; ჩამოუყალიბოს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი; დაეხმაროს მათ მომავალი გზის შერჩევაში და შეუქმნას ყველა წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად; ზრუნვა მოსწავლეთა სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის, თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენისა და ზნეობრივად ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის, ასაკთან შესაფერისი ინტერესებისა და მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ "ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში" (შემდგომში სკოლა) ზოგადი განათლება იყოფა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებად. დაწყებითი საფეხური გულისხმობს I-VI კლასებს, საბაზო VII-IX კლასებს, ხოლო საშუალო X-XIIკლასებს. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია თითოეული საფეხურის ძირითადი ამოცანები. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სასწავლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო დოკუმენტ-პროექტს, რომლითაც განისაზღვრება: ➢ სკოლის მისია; ➢ სასკოლო საათობრივი ბადე; ➢ სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; ➢ დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა. ➢ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); ➢ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; ➢ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში; ➢ სკოლის განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა; ➢ სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მონიტორინგის წესი და განხორციელების ფორმები. ასევე წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები: სკოლის კალენდარი, საათობრივი ბადე, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა, დამატებითი ლიტერატურის ნუსხა, ლაბორატორიის რესურსი, სადამრიგებლო პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სქემები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წლიური გამოცდები, სსმ ინდ. სასწ. გეგმის შემუშვების წესი, სასკოლო გეგმის დისატანციური სწავლების ვარიანტი, საღვთო სჯულის კონცეფცია. სკოლა საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელს შეუწყობს: ა)ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა. ბ)სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას; გ)მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას; დ)ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; ე)კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვ)ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას; ზ)გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის; თ)კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას; ი)სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას. სკოლაში გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია და მეორე კლასი, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 40 წუთია. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (პანდემია, თოვლი, ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით. გაკვეთილებს შორის შესვენება არის 5 წუთი, მე–3 და მე–4 გაკვეთილებს შორის - კი 10 წუთი. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი ყველა კლასისთვის. წარმოდეგენილია სკოლის კალენდარი, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფო დასვენების დღეებთან ერთად რელიგიური დღესასწაულები. სასკოლო კვირა ხუთდღიანია, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას. სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა სავალდებულო საგანი. სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა: 1. დაწყებითი კლასის კათედრა; 2. მათემატიკისა და ი.ს.ტ. კათედრა; 3. უცხო ენების კათედრა; 4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა; 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	6. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა; 7. ქართული ენა-ლიტერატურისა და საღვთო სჯულის კათედრა. ყოველ კათედრას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კათედრის შემადგენლობა. წარმოდგენილია კათედრის ფუნქციები, კათედრების მოწყობა, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები და კათედრის ამოცანები. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კათედრის დებულება, ფუნქციონირების ამსახველი ჟურნალის შაბლონი, შემაჯამებლების ანალიზის ფორმა, შემაჯამებელი დავალებების ანგარიშის ფორმა, კათ.თავმჯდომარის წერილობითი ანგარიშის ფორმა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თემატურ-კალენდარული გეგმები, კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების რეგულაციები და პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე. დისტანციური სწავლების დროს ძირითადად გამოყენებული იქნება edupage, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას Facebook, Messenger, Zoom, Google meet პლატფორმები. გაწერილია დისტანციური სწავლების საათობრივი ბადე, დროის განრიგი, მონიტორინგის მექანიზმები. ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის კათედრების დებულება (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძ:№01-03/06); • კათედრების პორტფოლიოები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. გიმნაზიაში დამატებით საგნად ისწალება საღვთო სჯული და ძველი ქართული დამწერლობა. საღვთო სჯული ისწავლება I-XII კლასებში ორ საათიანი დატვირთვით, ხოლო ძველი ქართული დამწერლობა VI-VII კლასებში ერთ საათიანი დატვირთვით. საათობრივ ბადეში ცვლილებაა აგრეთვე პირველი უცხო ენის დატვირთვისას. I კლასში პირველ უცხო ენა ისწავლება მთელი წელი. მათემატიკას კი დათმობილი აქვს 5 საათი ორივე სემესტრში. II -დან VI კლასის ჩათვლით და X-XI კლასებში პირველ უცხო ენას (ინგლისური) დამატებული აქვს თითო საათი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზებს საგანთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იმ ჩამონათვალს, რომელიც სასკოლო მისიის განხორციელებას შეუწყობს ხელს და ამავე დროს გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა არჩევანი. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს: ➢ ფრანგულ ენას (მესამე უცხო ენა); ➢ მსოფლიო კულტურას; ➢ მეწარმეობის საფუძვლებს; ➢ სამედიცინო ბიოლოგიასა და ჯანმრთელობას. მოსწავლეთა საჭიროებისა და მშობელთა სურვილის შესაბამისად, დაწყებით I-IV კლასებში ჩატარდება გახანგრძლივებული მეცადინეობა. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში 5 დღე. ერთი დღის საათობრივი ხანგრძლივობაა 3 ასტრონომიური საათი. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, დამრიგებლის მოვალეობები და პრინციპები, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისთვის. დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიოები, სადაც თავს იყრის მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, სადამრიგებლო საათის ამსახველი მასალები, მშობლებთან შეხვედრის ოქმები და სემესტრული/წლიური ანგარიშები. დამრიგებლის ვალდებულებაა საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI-XII კლასებში კლასში ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები. ხოლო X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალქო ცნობიერების თემატიკაზე. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი შეეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სადამრიგებლო პროგრამა; • კათედრის პორტფილოები; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური საწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ტიპები, ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე ისგ ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, მუშაობის ფორმატის აღწერა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებისა და გაცდენების, შინ სწავლების რეგულაციები, სკოლაში მიღების წესი, სასკოლო გარემოს მოწყობა, მოსწავლის პორტფოლიოს აგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პრინციპები, ინდ.გეგმის ნიმუში, მონიტორინგის ფორმა, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე გაწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. სკოლის მიზნების, ხედვებისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდეგნილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალურ ბარიერად დაწესებულია 5,0 ქულა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. 1. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს დაენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში მოცემულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასების მიხედვით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა). დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას. მოსწავლეები არ ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით საღვთო სჯულსა და ძველ ქართულ დამწერლობაში. სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • წლიური გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა; • ექსტერნატის გამოცდა; სასწავლო წლის ბოლოს VII, VIII, IX, X და XI კლასებში ჩატარდება წლიური გამოცდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ორ საგანში გარდა შემდეგი საგნებისა: სამოქალაქო განათლება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, არჩევითი და დამატებითი საგანმანათლებლო საგნები. წლიური გამოცდის ქულა აისახება წლიურ ქულაზე, ამ დროს საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით). იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, ენიშნება საშემოდგომო გამოცდა. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე; საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისათვის. სკოლა ვალდებულია, კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. უნებართვოდ სკოლის გაცდენის პირველი შემთხვევისას მოსწავლე წერს ახსნა–განმარტებას და ეცნობება ზეპირი ან წერილობითი ფორმით მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორედ განმეორების შემთხვევაში მოსწავლეზე იწყება დისციპლინარული დევნა შინაგანაწესის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. თუმცა, დოკუმენტი აზუსტებს, რომ ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით და თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. ა(ა)იპ ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი-შეფასების რუბრიკები; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • შემაჯამებელი სამუშაოს სემესტრული ანალიზის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება მშობელთა ჩართულობის დებულებითა და ხელშეკრულებით. დებულებაში წარმოდგენილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, უფლებები, მათი სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და წესი. მშობლებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი. მისი მოვალეობაა: ➢ გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.); ➢ იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში; ➢ რეგულარულად(მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი; ➢ საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია; ➢ V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ელ. ჟურნალით და სხვ.). სკოლა მშობელთან საკომუნიკაციოდ გამოიყენებს ელექტრონულ ჟურნალს www.chaqvis-sasuliero-gimnazia.edupage.org - ამ ინსტრუმენტის საშუალებით მშობელი ინფორმირებული იქნება შვილის განმავითარებელი და განსმაზღვრელი შეაფსების შედეგებით, მიიღებს ინფორმაციას დავალებებზე, საშუალება ექნება კომუნიკაცია ჰონდეს დამრიგებელთან და მასწავლებლებთან. სკოლაში შექმნილი იქნება მშობელთა კომიტეტი. კომიტეტი შედგება 12 წევრით. მშობლები კომიტეტში აირჩევიან ყველა კლასიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა შორის ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე. კომიტეტის წევრი მშობლები ჩართულები იქნებიან სკოლის დისციპლინურ კომიტეტშიც. მათი ინიციატივები გათვალისწინებული იქნება დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კომიტეტის დებულება. სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან სამოქმედო გეგმებში ერთერთი ამოცანაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. სკოლას გაწერილი აქვს აქტივობები მშობელთა ჩართულობის გაძლიერებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სადამრიგებლო პროგრამები; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის მშობელთა ჩართულობის დებულება (დამტ. დირექტორის მიერ: ბრძ:№01-03/08); • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის მშობელთა კომიტეტის დებულება (დამტ. დირექტორის მიერ: ბრძ:№01-03/09); • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ერთწლიანი (2022-2023) და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ვებგვერდი და ელექტრონული ჟურნალი: www.chaqvis-sasuliero-gimnazia.edupage.org • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის კონტროლის, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ეს უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების პრიორიტეტების განსაზღვრას. სასწავლო გეგმის შეფასება ხდება საგნის მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მონიტორინგის შედეგები წარედგინება დირექტორს და პედაგოგიურ საბჭოს. სკოლაში მოქმედი სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემა იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას. გადაწყვეტილებები სკოლის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე განიხილება სკოლის კათედრების რეგულარულ შეხვედრებზე, ჯგუფური კონსულტაციების გზით, პედაგოგთა ანგარიშების საფუძველზე და პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგიური საბჭო განიხილავს სასკოლო-სასწავლო გეგმას, გააანალიზებს განვლილი სასწავლო წლის შედეგებს, განსაზღვრავს სასკოლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების და სასკოლო გეგმის განვითარების დამატებების შეტანის და გაუმჯობესების მიზანშეწონილობას. საგნობრივი კათედრები განსაზღვრავენ სასკოლო სასწავლო გეგმის დადებით და უარყოფით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მხარეებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პედაგოგიური საბჭოს სხდომისათვის. სასწავლო პროცესის კონტროლის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა გამოიყენებს დასწრებისა და საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარების მექანიზმებს, რომლის დროსაც მოხდება სწავლებისა და სწავლის ეფექტიანობის შეფასება. ასევე იგეგმება რეიტინგული წერები, რისი ანალიზის საფუძველზე მოხდება საჭიროებების დადგენა, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზების დაგეგმვა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. ასევე განხორციელდება მოსწავლეების მასწავლებლების და მშობლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, რეკომენდაციების შემუშავება. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებას. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობის პროცესს მესამე თაობის ე.ს.გ. დანერგვასთან მიმართებაში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის მიზნებია: ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; ბ)მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; გ)სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; დ)სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის მონიტორინგის წესი და განხორციელების ფორმები: 1. გაკვეთილზე დასწრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. დოკუმენტაციის შემოწმება; 3. შიდასასკოლო წერების ჩატარება (სარეიტინგო-დიაგნოსტიკური); 4. ტესტირების ჩატარება; 5. ანკეტური გამოკითხვა; 6. გასაუბრება მოსწავლეებთან; სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებას, მონიტორინგს, შედეგების ანალიზს და სკოლის განვითარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ხარისხის მართვის მენეჯერი ვალდებულია: ➢ შეიმუშაოს სკოლის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების პროექტები; ➢ ორგანიზება გაუწიოს სკოლის ავტორიზაციისთვის მოსამზადებელ პროცესს; ➢ მასწავლებლებს მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდიკის შესახებ; ➢ იზრუნოს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე; ➢ განახორციელოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება; ➢ სკოლის დირექტორს წარუდგინოს ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ; სკოლამ წარმოადგინა ასევე ხარისხის მართვის მენეჯერის წერილობითი ანგარიშის, სარეიტინგო წერის ანგარიშის ფორმები. სკოლის განვითარების ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის კონტროლის, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების და ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • თანამდებობრივი ინსტრუქცია; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები; • გასაუბრება დირექციასთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: **2476.83** კვ.მ
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზია იფუნქციონირებს სარგებლობაში არსებულ ფართში მისამართზე: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ. N 77. დაწესებულებამ წარმოადგინა 16.06.2022 წლის წინარე თხოვების ხელშეკრულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 220734668), რომლის თანახმადაც სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესია უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გადასცემს ააიპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიას უძრავ ქონებას (ს.კ 20.48.05.015) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ. არსებული დაზუსტებული ფართობია: 10 077 კვ.მ., ხოლო მასზე არებული შენობა ნაგებობის ფართია - 2476.83 კვ.მ. ვიზუალური დათვალიერებით სკოლა ოთხსართულიან შენობაშია განთავსებული, სადაც: საკლასო ოთახები, კვების ობიექტი, მცირე სპორტული დარბაზი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და სხვა დამხმარე ოთახებია.
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ. N 77
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	20.48.05.015
კვ.მ.	10 077 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ; • წინარე თხოვების ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, თაროებით, კარადებით ასევე, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით–პლაკატებით, ქიმიური ტაბულებით, სქემებით და სხვა მატერიალური საშუალებებით. სკოლაში მატერიალურად წარმოდგენილია 361 ერთეული ინდივიდუალური საჭიროების სასკოლო მერხი და 392 სკამი, რომლის ფლობა დოკუმენტურად დასტურდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო მერხების ფლობის დოკუმენტები, მათ შორის ჩუქების აქტები. • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლა გამოიყენებს გარე სპორტულ მოედანს, ხოლო უამინდობის დროს სპორტის გაკვეთილები ჩატარდება შენობაში არსებულ მცირე დარბაზში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია კაბინეტში, ლაბორატორიის აღჭურვილობა იქვე, სპეციალურ კარადებშია დალაგებული, უსაფრთხოების ზომების დაცვით. ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება. ოთახში დამონტაჟებულია სველი წერტილი. ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში გამწოვი კარადა არ იყო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზემოაღნიშნულის თაობაზე, რის შემდეგაც დაწესებულებამ უზრუნველყო გამწოვის შეძენა-დამონტაჟება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ქიმიური რეაქტივების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი და ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებას მიეწოდება სასმელი წყალი. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, დერეფნის ბოლოში არის სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, სკოლის პერსონალი სარგებლობს მათთვის განკუთვნილი სველი წერტილებით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, გამოყოფილია და დაცულია პრივატულობა. ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟებულია სკოლის დამხმარე შენობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გათბობის ქვაბის ფლობის დოკუმენტები; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით, სამკითხველო ზონა, შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკაში მუშაობის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკართან დადებულია შრომითი ხელშეკრულება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას ბიბლიოთეკაში ადგილზე არ იყო დაცული ყველა სახელმძღვანელო. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ბიბლიოთეკა ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოთი, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოასწორა. ასევე სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკა უზრუნველყოს მოსწავლეთა სარგებლობისთვის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით: მიღება-ჩაბარების აქტით, შესყიდვის დოკუმენტებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ვიზიტის პერიოდში პანდუსი დამონტაჟებული არ იყო, თუმცა დირექციის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ დასაწყობებული პანდუსის დამონტაჟებას. სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პირთათვის, რაზედაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიეცა რეკომენდაცია. რაც დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით. • საბუღალტრო დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ინტერნეტქსელში ჩართული ჯამში სულ 5 პერსონალური და 21 პორტატული კომპიუტერი. სკოლამ წარმოადგინა შეთანხმება რომლის თანახმადაც ა(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიას, ავტორიზაციის მოპოვებისთანავე გადაეცემა აქამდე არსებული შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალის ,,EDU PAGE“ ლიცენზია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ნასყიდობის ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის ერთწლიანი ლიცენზიის შესახებ; • შეთანხმება • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: • სასაქონლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და გასასვლელის მაჩვენებლები საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით. • საბუღალტრო დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ექთანი, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01- 23/ნ-ით. კერძოდ, სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოიყვანოს სრულად შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ბრძანებასთან. გამოაცხადოს სკოლის ექიმის ვაკანსია. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიძინა ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ყველა საჭირო აღჭურვილობა. ასევე წერილობით მიმართა მასწავლებელთა სახლს სკოლისათვის ვებგვერზე www.teachersjob.ge სკოლის რეგისტრაციის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • გასაუბრებით ექთანთან; • სამედიცინო ინვენტარის ფლობის (ჩუქების) დოკუმენტაციით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაამისად, სკოლას შექმნილი ჰქონდა უსაფრთხოების დებულება, თუმცა არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რაზედაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რის შემდეგაც დაწესებულებამ გააგზავნა შესათანხმებლად ზემოაღნიშნული წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კორესპონდენციით უსაფრთხოების დებულების შეთანმხების შესახებ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში) დამონტაჟებულია 16 ,ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე 8 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს სკოლის მე-4 სართულის საერთო სარგებლობის სივრცე სრულად არ კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაემატებინა 1 შიდა პერიმეტრის ვიდეო კამერა, ხოლო გარე პერიმეტრის ვიდეოკამერა გადაენაცვლებინა ისეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადგილას, საიდანაც შესაძლებელი იქნება სკოლის ეზოს სრული პერიმეტრის კონტროლი. სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების ფლობის დოკუმენტაციით ; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. წესდება შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან მეწარმეთა შესახებ. შინაგანაწესის 43-ე მუხლით განსაზღვრულია რა შემთხვევაში აქვს სკოლას მოსწავლის გარიცხვის უფლება. აღნიშნული ჩანაწერი არღვევს მოსწავლეთა უფლებას და ეწინააღმდეგება, მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ მე-19 მუხლი) შინაგანაწესის 45-ე მუხლით განსაზღვრულია ,,მოსწავლის პირადი გასინჯვა", რაც ეწინააღმდეგება ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს". აღნიშნული წესით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამოიღოს ეს მუხლი შინაგანაწესიდან და იხელმძღვანელოს ზემოთ აღნიშნული ბრძანებით. სკოლას ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია შინაგანაწესი მოეყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილებები შინაგანაწესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია 6 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 6 წლიან სტრატეგიულ გეგმაში (2022-2028 წლები) არ ჩანს სტრატეგიული მიზნები. სკოლას მიეცა რჩევა გეგმის შემუშავების დროს აუცილებლად მოხდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში მსხვილი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილებები სტრატეგიულ გეგმაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს, სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება 4 სახის ბრძანებები თითოეული სახის ბრძანება რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა ასევე ახდენს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციას, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაციას. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • ბრძანებების ჟურნალი; • ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; • საქმისწარმოების წესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკა უზრუნველყოს მოსწავლეთა სარგებლობისთვის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი; • eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზა; • ხელშეკრულებები თანამშრომლებთან; • სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**25**
მოწვეული/მაძიებელი	**4**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**1**
უფროსი მასწავლებლი	**17**
წამყვანი მასწავლებლი	**3**
მენტორის სტატუსი	**-**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიაში დასაქმდება 25 მასწავლებელი, რომლებიც ამჟამად დასაქმებული არიან შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიაში. მათ შორის 17 უფროსი, 3 წამყვანი, 2 მაძიებელი და 2 მოწვეული და 1 უსტატუსო მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია ყველა მასწავლებლის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, CV, ცნობები ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისას გამოცხადდეს კონკურსი და ამ გზით მოხდეს პირის შერჩევა, სადაც გათვალისწინებული იქნება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ"მინისტრის N 174ნ ბრძანება და საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ, 21-ე მუხლით დადგენილი პირობები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და წერილობით მიმართა მასწავლებელთა სახლს ვებგვერზე www.teachersjob.ge სკოლის რეგისტრაციის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები; • EMIS ბაზა; • გასული კორესპონდენცია.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე დასანიშნ პირთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს. ასევე გაწერილია სკოლაში თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ ყველა ადმინისტრაციულ–ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, დანომრილია და აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. <u>ვიზიტის პერიოდში შრომით ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილება და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. ჯგუფის მიზანია: ➢ სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; ➢ მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. ➢ მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასება; ➢ საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; ➢ მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შეფასება. ჯგუფს უხელმძღვანელებს ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა განიხილავს მასწავლებელთა საჭიროებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების პროგრამას, რომელშიც აისახება სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებულია: ➢ უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის საჭირო რეგულაციები; ➢ შრომის უსაფთხოების პირობები; ➢ დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები; ➢ მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური საქმის წარმოების წესი; სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიან გეგმაში ერთერთი ამოცანაა სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. ამისათვის სკოლა გეგმავს საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ფუნქციების გადანაწილებას გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა კომიტეტის დებულებები. სკოლის თვითმართველობის მიზანია თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია: ➢ სასკოლო კლუბების შექმნა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით; ➢ სკოლის გარეშე და კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ სასკოლო სასწავლო–შემოქმედებითი კონფერენციების, შიდა სასკოლო კონკურსების, ინტელექტუალური თამაშების და სარეიტინგო წერების ჩატარების წესების/ დებულებების შემუშავება; ➢ სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიებისა და ექსპედიციების ორგანიზება; ➢ შიდა სასკოლო კონკურსების მოწყობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითნაკეთი თვალსაჩინოების დამზადების წახალისების მიზნით; ➢ თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის დანერგვა და განხორციელების უზრუნველყოფა. ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში ყველა კლასში ისწავლება საღვთო სჯული. მოცემული პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა რელიგიებს, ქრისტიანული რელიგიის მრწამსსა და ღირებულებებს, რაც მოყვაისისადმი მიმტევებლობის, შემწყნარებლობის, მშვიდობის, ემპათიისა და ურთიერთპატივისცემის ფასეულობებს ავითარებს მომავალ თაობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის შინაგანაწესი; • ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	უმოკლეს ვადებში განხორციელდეს ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში მასწავლებელთა ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისათვის კონკურსის გამოცხადება და შესაბამისი პირების შერჩევა.
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	ექსპერთთა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ა(ა)იპ ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის გიმნაზიაში მასწავლებლები არ არიან შერჩეულნი ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' მინისტრის N174ნ ბრძანებისა და საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ 21-ე მუხლით დადგენილი პირობებით.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი
თარიღი 26.01.2023
გვერდების რაოდენობა 45 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.